პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
4 მაისი
1944 წ.
№ 90 (7034)
ფასი 20 კაპ.

წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა. მაგრამ საბჭოთა ხალხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე. ომის ძნელ პირობებში საბჭოთა ხალხმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია საჭურვლის, ცეცხლითი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის მასობრივი წარმოებისა და ფრონტებზე წითელი არმიისათვის მათი დროულად მიწოდების საქმეში.

ი. სტალინი

პიონერთა საპირველმაისო პარადი თბილისში. ტრიბუნაზე ამხ. ს. იშხანოვი, პ. გუდიმენკო, ზ. კეცხოველი, ა. კვაჭაძე, ვ. ბაქრაძე, ვ. ბუჯიაშვილი, მ. ბარამია, ს. ხოშტარია და გ. გოჩაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ—მტრის საბოლოო განადგურებისათვის

გუშინ, 1 მაისის დღეს, საბჭოთა მეომრებისა და ზურგის მშრომელთა მძლავრი უძლეველი მეუყობრის წინ გაისმა ბელადის ბრძანების მკაფიო და ბრძნული სიტყვები, რომლებიც მთელს მსოფლიოს მოედო და კაშკაშა ჩირაღდნივით გაუშუქა გმირი წითელი არმიის სახელოვანი ძლევამოსილი გზა, მთელი საბჭოთა ხალხის წარმატებანი და მიღწევანი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანების პირველი სიტყვა მიძღვნილია გამაცი წითელი არმიისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხებმა მიანდეს თავიანთი ბედი, როდესაც ცბიერი მტერი ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს მიწა-წყალს. საბჭოთა ხალხი არ შემცდარა თავის იმედში. წითელმა არმიამ მკერდით დაიცვა სამშობლო. მან შეაკავა მტრის ურდოების გააფთრებული იერიში, უკუაგდო ისინი შორს დასავლეთისაკენ, მიაყენა და აყენებს მათ გიგანტური ძალის ერთი მეორეზე უფრო ძლიერ გამანადგურებელ დარტყმებს.

„ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს ტგებებიაა წითელი არმიის შესანიშნავ წარმატებათა ვითარებაში“,—ასეთია ბრძანების სიტყვები.

ისტორიულ გამარჯვებათა დაუვიწყარი მაჯნებით არის აღნიშნული წითელი არმიის მიერ განვლილი გზა თითქმის განუწყვეტელ შტეგვაში ომ დროის მანძილზე, რაც სტალინგრადთან გერმანელთა განადგურებიდან დღევანდელ საპირველმაისო დღესასწაულამდე გავიდა. ვერც გერმანელების მიერ აგებულმა მძლავრმა თავდაცვითმა სიმაგრეებმა, ვერც წყლის ზღუდეებმა, ვერც მტრის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ, ვერაფერმა ვერ შესძლო შეეჩერებინა საბჭოთა ჯარები. რომელთაც წინამძღოლობს დიდი სტალინი და რომლებიც ულტეტენ ბილწ მტერს, საბჭოთა მიწა-წყლიდან ჰგვიან მას და ბრძოლებით გაიარეს ვოლგიდან სერეტამდე, კავკასიის ზეთის ძირებიდან კარპატის მთებამდე. „ასრულებს რა ფაშისტ დამპყრობთაგან შობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების დიად საქმეს, წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან და ახლა განაგრძობს მტრის ჯარების განადგურებას რუმინეთის ტერიტორიაზე“. (ი. სტალინი).

წითელი არმია, ეს დაამტკიცა ომის ზთელმა მსვლელობამ, გერმანელ ფაშისტთა ალიბებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბრძოლის ყოველ ახალ ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ ვხედავს ჩვენი შეიარაღებული ძალების უპირატესობა მტრის შეიარაღებული ძალების წინაშე. სტალინური სტრატეგიამ და ტაქტიკამ ჩიფუმა და ჩაშალა ჰიტლერული სარდლობის ყოველი გეგმა და ვარაუდი. წითელი არმია ასრულებდა თავისი ბელადის მეთადარმთავრის ბრძანებას და განუხრელად აუმჯობესებდა თავის სამხედრო ხელოვნებას. ამან კი საბჭოთა მეომრების მაღალ მორალურ სულისკვეთებასა და შეტევითს აღფრთოვანებასთან შეხამებით გადაწყვეტა გამარჯვება ჩვენი ჯარებისა, რომელნიც ჩვენმა ქვეყანამ პირველხარისხოვანი საბჭოთა საშხედრო ტექნიკით მოამარაგა.

ჩვენ მარტონი როდი ვართ ჩვენს ბრძოლაში. ჩვენს წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ჩვენმა დიდმა ოკავშირეებმა—ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა. გერმანელთა ჯარების ნაწილი დაბანდებულია იტალიის ფრონტზე. გერმანიის საშხედრო ფიზიკატები სისტემატურ ნგამარაგებენ მეტად ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულითა და საჭურვლით. დიდ სალელმწიფოთა საბრძოლო თანამეგობრობისა და თანამშრომლობის ზრდა მეტევრმეტყველურად და ცხადად მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ჩაიშალა გერმანელთა ვარაუდი მოკავშირე სახელმწიფოთა გათიშვის შესახებ.

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება ზალად შეფასებას აძლევს საბჭოთა ზურგის მეშაობას და, თუ წითელმა არმიამ გვიჩვენა სამშობლოს თავდადებული სამსახურის განსაკუთრებული მაგალითი, არც საბჭოთა ხალხი დარჩენილა ვალში წითელი არმიის წინაშე. მუშათა კლასმა, საბჭოთა გლეხობამ, საბჭოთა ინტელიგენციამ ღირსეულად ჩაბარეს გამოცდა ომით, მსოფლიოს უჩვენეს თავიანთი პატრიოტული მოვალეობის შესრულების ნიმუში. ფრონტი უზრუნველყოფილია ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება.

„ომის ძნელ პირობებში საბჭოთა ხალხმა გადაწყვეტ წარმატებებს მიაღწია საჭურვლის, ცეცხლითი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის მასობრივი წარმოებისა და ფრონტებზე წითელი არმიისათვის მათი დროულად მიწოდების საქმეში“. (ი. სტალინი).

მზურვალე სიყვარულით აღფრთოვანებულმა თავისი სამშობლოსადმი, სიძულვილით გაჭიქვალულმა მტრისადმი, რომელმაც ხელი აღმართა ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანებმა მთელი თავიანთი ძალები მოახმარეს და ახმარებენ დიდი საქმისათვის სამსახურს — გაბარჯვებისათვის ბრძოლას. საბჭოთა წყობილების უდიდესმა ძალამ, სტალინური ხუთწლედების უდიდმა სკოლამ თავისი ნაყოფი მოგვცეს. საბჭოთა ქვეყანამ გვიჩვენა, რომ მას ომიანობის ძნელ პირობებშიც შეუძლია გადასჭრას უაღრესად რთული სამეურნეო პრობლემები. წითელი არმიის ძლიერებასთან ერთად გაიზარდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ძლიერებაც. მწყობრში ჩადგნენ ასობით ახალი ქარხანა, შახტი, ათობით ელექტროსადგური, რკინიგზის ხაზი, ხიდი. მუშათა კლასის რიგები შეივსო ახალგაზრდა კადრების ახალი მილიონებით, რომლებიც მრეწველობაში მოვიდნენ. საბჭოთა გლეხობამ უზრუნველყო ჩვენი არმიისა და მოსახლეობის მოსარგება სურსათით, ბრეწველობისა კი — ნედლეულით. ომმა ვერ შეიჩერა ვერც მეცნიერების განვითარება და ვერც კულტურის განვითარება ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, კულტურა და ხელოვნება გამდიდრდნენ ახალი თვალსაჩინო მიღწევებითა და აღმოჩენებით. ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის დამსახურება.

ზურგის შეუფერხებელი და უბაკლო მუშაობა გვიჩვენებს, თუ რა ურღვევი, სასიცოცხლო კავშირით არის შედუღაბებული საბჭოთა ხალხი თავის შობლიურ წითელ არმიასთან.

„სამამულო ომმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს და გამარჯვებული გამოვიდეს უაღრესად ძნელ განსაცდელიდან. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, ვითელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით — დაიჭიროს მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული“. (ი. სტალინი).

წითელი არმიის მხრივ გამანადგურებელმა დარტყმებმა შეარყიეს ჰიტლერული საშხედრო მანქანა, ჰიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე დააყენეს. ირღვევა და ინგრევა ჰიტლერული გერმანიის მიერ შეკოწწებული ფაშისტურ სახელმწიფოთა ავაზაკური ბლოკი. შეშინებულნი და თავზარდაცემულნი აწყდებიან აქეთ-იქით ჰიტლერის რუმინელი, უნგრელი, ფინელი, ბულგარელი „მოკავშირენი“. ჰიტლერზე დამყარებული მათი ვარაუდი ფუჭი ილუზია აღმოჩნდა. იოლად ხელის ფოთბობის იმედმა სრული კრახი განიცადა. გერმანიამ ომი წააგო—ასეთია გარდუვალი ჭეშმარიტება. ეს არ შეუძლიათ არ დაინახონ ჰიტლერის ხელქვეითმა ქვეყნებმა, რომლებიც „მოკავშირეებიდან“ იქცევიან და ნაწილობრივ უკვე გადაიქცნენ ოკუპირებულ ქვეყნებად აქედან გამომდინარე მთელი შედეგებიანად.

ახლოდ ერთ ნაბიჯს შეუძლია იხსნას ეს ქვეყნები კატასტროფისაგან — კავშირის გაწყვეტას ჰიტლერულ გერმანიასთან და ომიდან გამოსვლას. მაგრამ რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთისა და ბულგარეთის მმართველები არ იჩენენ არც სურვილსა და არც უნარს დაადგნენ ამ გზას. ამ სახელმწიფოთა ხალხების წინაშე მთელი სიმწვავით დგას საკითხი იმის შესახებ, რომ თვითონ მოჰკიდონ ხელი თავიანთი ბედის გადაწყვეტის საქმეს, ვინაიდან, თუ მათ არა სურთ გაიზიარონ ჰიტლერული გერმანიის ხვედრი, კავშირი უნდა გასწყვიტონ გერმანელებთან, კავშირი უნდა გასწყვიტონ ჰიტლერის მიერ დაყენებულ პირებთან თავიანთ საკუთარ ქვეყნებში.

„და რაც უფრო მალე შეიგნებენ ამ ქვეყნების ხალხები, თუ რა ჩიზში მოამწყვდიეს ისინი ჰიტლერელებმა, რაც უფრო მალე შესწყვეტენ ისინი თავიანთი გერმანელი დამმონებლებისათვის და თავიანთ საკუთარ ქვეყანაში მათი ხელქვეითებისათვის — კვისლინგებისათვის ყოველგვარ მხარდაჭერას, მით უფრო ნაკლებ მსხვერპლსა და ნგრევას განიცდიან ეს ქვეყნები ომისაგან, მით უფრო მეტად შეუძლიათ მათ იქონიონ დემოკრატიული ქვეყნების მხრივ გაგების ინდი“. (ი. სტალინი).

სამხედრო და პოლიტიკური ვითარების ანალიზიდან, რაც მოცემულია უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანებაში, გამომდინარეობენ საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის წინაშე მდგარი ამოცანები. წითელმა არმიამ თავისი უმაგალითო შეტევის შედეგად თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებულია ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლის სამ მეოთხედზე მეტი. აღდგენილია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი 400-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე.

„საქმე ახლა ის არის, რომ ფაშისტ დამპყრობთაგან გაეწმინდოთ მთელი ჩვენი მიწა-წყალი და აღვადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები მთელ ხაზზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე“. (ი. სტალინი).

მთელი საბჭოთა მიწა-წყალი გაწმენდილ უნდა იქნას ჰიტლერული სიძიულისაგან — ასეთია ბრძანება დიდი ბელადისა და მზედართმთავრისა, რომლის წინამძღოლობით წითელმა არმიამ გმირობის სასწაულები მოახდინა. მოიპოვა თავისი სახელოვანი ისტორიული გამარჯვებანი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დაგვანახვა, რომ მას აქვს უნარი მოახდინოს სასწაულები და გამარჯვებული გამოვიდეს უაღრესად ძნელი განსაცდელიდან.

ამხანაგ სტალინის ბრძანება სამშობლოს ბრძანებაა.

და იგი შესრულებულ იქნება. ამის თავდებია საბჭოთა ადამიანების მიერ თავისი მოვალეობის თავდადებული შესრულება, საბჭოთა ხალხის მხურვალე და უსაზღვრო სიყვარული თავისი სამშობლოსადმი, მისი ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, ამისი თავდებია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობა.

მაგრამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან მთელი საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდა ერთადერთი ამოცანა როდია. მზეცი ფაშისტი ძნიმედ არის დაჭრილი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განადგურებული. იგი მიხოხავს თავისი ბუნაგისაკენ, რათა იქ მოიშუშოს ჭრილობები. მტერი—სასოწარკვეთილებით გაგვიწევს წინააღმდეგობას. ყოველგვარ საშუალებას იხმარს, რათა განაგრძოს თავისი არსებობა და შეინარჩუნოს თავისუფალი ხალხების ფაშისტური ძმები ჩაგვრისა და დამონების მის მიერ შექმნილი „ახალი წესრიგი“.

გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა ფეხქვეშ კვლავ ჰგმინავენ ჩვენი მოძმე პოლონელები, ჩეხოსლოვაკიელები, დასავლეთ ევროპის ჩვენი სხვა მოკავშირე ხალხები. მზეცი ფაშისტი უნდა ვდევნოთ ჩვენი საზღვრების გადაღმაც, რათა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოკავშირე ქვეყნები ვიხსნათ დამონების საფრთხისაგან. მტერი უნდა გავანადგუროთ მის ბუნაგში და გავანადგუროთ სამოლოოდ —ასეთია მეორე უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

„გასაგებია, რომ ეს ამოცანა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გერმანელთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე, ერთობლივი დარტყმების გზით აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან მზეცი ფაშისტისათვის ერთიან შემუსვრელ დარტყმად შეერწყმიან, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა შორის.

ფრონტზე და ზურგში ბრძანების სიტყვები ყველას პირზე აკერია. საბჭოთა ადამიანები ფიცსა ადებენ შეასრულონ ბელადის ბრძანება. გამარჯვების მოსაპოვებლად ისინი კისრულობენ ახალ ვალდებულებებს სამშობლოსა და ფრონტის წინაშე.

საბჭოთა კავშირის ვნირმა უფროსმა სარეკონტა მურავიოვმა განაცხადა: „დიდი სტალინის სახელ აღგვაფრთოვანა მე და ყველა მებრძოლი დნეპრის ჯადალახვისას და ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო გაეტეხა ჩვენი ნებისყოფა გამარჯვებისა. ჩვენი საყვარელი მზედართმთავრის ბრძანება ახალ ძალებსა და ენერგიას გვმატებს. სიტყვას ვიძლევი მთელი უნარი და ცოდნა ვოვახმარო მტრის საბოლოოდ განადგურებას საქმეს“. წარჩინებულმა მეფოლადემ ამხ. აბროსიმოვმა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „ჩვენ ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ წითელ არმიას შეასრულოს დიდი სტალინის ისტორიული ბრძანება—არა მარტო განდევნოს მტრის ჯარები ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან, არამედ კიდევაც დევნოს იგი ძველდაკვალ, გაანადგუროს მზეცი ფაშისტი მის ბუნაგში, გერმანიის ტყეეობიდან გაათავისუფლოს ჩვენი ძმები“.

ბელადის საპირველმაისო ბრძანება საბჭოთა ადამიანებს აღფრთოვანებს ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეებისათვის გერმანელ ფაშისტს დამპყრობთაგან მთელი საბჭოთა მიწა-წყლის გასაწმენდად, საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ მტრის სრული განადგურებისათვის!

„პრავდის“ 2 მაისის მოწინავე

ჰიონერთა საპირველმაისო პარადი თბილისში

პირველ მაისს თბილისში, ბერიას სახელობის მოედანზე ნორჩ პიონერთა დიდი პარადი გაიმართა.

ტრიბუნის წინ მოსჩანდა საზეიმოდ მორთული თბილისის საბჭოს შენობა, რომელსაც ამშვენებდა ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, ბერიას პორტრეტები და დიდი ტილო წარწერით:

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

პარადის დაწყების წინ მთავრობის ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები — ვ. ბაქრაძე, მ. ბარამია, ს. იშხანოვი, ს. ხოშტარია, ვ. ბუჯიაშვილი, ი. კოტლამაზაშვილი, ზ. კეცხოველი, ე. ჩერქეზიანი, გ. გოჩაშვილი, ვ. ხატისაშვილი, ზ. ჩხუბიანიშვილი, კ. ბარიგიანი, ა. კვაჭაძე, კ. ციმაკურიძე, გ. გორდეზიანი, გ. ალავიძე, გ. კოკანე, მ. ბალავაძე, ნ. ქვანია, დ. მშველიშვილი, ა. შენგელია, გუდიმენკო, ზ. ლელნი, რიბოლოტოვსკი, თ. სხირტლაძე, ა. ხუჯაძე, ვ. ლოლაძე, ნ. გაბუნია, კ. ხოშტარია, ი. ფრანგულიანი, პარტიულ, პროფკავშირიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკები.

მოედნის ირგვლივ სწორ ოთხკუთხედებად იყვნენ დაწყობილნი საპარადოდ გამოსულ პიონერთა რაზმები. შესრულდა 11 საათი და დაიწყო პარადი.

პარადი მიიღეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივნებმა ამხ. ა. შენგელიამ, შ. თათიაროშვილმა და თბილისის საბჭოს გაწთლების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. კიზირიამ.

პარადის მიღების შემდეგ მიკროფონთან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის სახელით მისალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. შენგელიამ, როგორც კი მან სიტყვა დაამთავრა, მოედნის ყოველი მხრიდან მოისმა პიონერთა მწყობრი „ვაშას“ ძახილი. გაერთიანებული ორკესტრი უკრავდა სახელმწიფო ჰიმნს.

დაიწყო პიონერთა საზეიმო-საპარადო მარში. პირველ წყებაში მთავრობის ტრიბუნის წინ გაიარეს ნახიმოვის სახელობის სასწავლებლის ნორჩმა მეზღვაურებმა. მხედრული, შეწყობილი ნაბიჯით მიდიოდნენ ნორჩი ნახიმოველები ტრიბუნის წინ და ერთსულოვანი „ურას“ ძახილი მოისმოდა მათი რიგებიდან ტრიბუნიდან გადაძახებული საპირველმაისო ლოზუნგების საპასუხოდ.

ნახიმოველებს შემდეგ დაიწყო პიონერთა რაიონული კოლონების მარში. ლენინისა და სტალინის რაიონების პიონერთა კოლონებს მოჰყვებოდნენ ორჯონიკიძის, ბერიას, მოლოტოვის და კიროვის რაიონების პიონერები, შემდეგ გაიარეს 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერებმა. პიონერთა კოლონებს წინ მიუძღოდნენ სადღესასწაულოდ მორთული ავტომობილები, ხოლო მათ მწკრივებს ამშვენებდა დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა პორტრეტები, სამამულო ომის გმირთა სურათები, ლოზუნგები, პლაკატები, დროშები და ყვავილები.

სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა პიონერთა საზეიმო მარში, რომელიც დამთავრდა პიონერ-ფიზკულტურელთა თავისუფალი მასობრივი ვარჯიშით.

ვარჯიშში 1.000-ზე მეტი პიონერი იღებდა მონაწილეობას.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმების შესახებ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემთხვევისათვის

ამხ. ა. ი. ვიშინსკის განცხადება პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

გუშინ, 30 აპრილს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა პრეს-კონფერენციაზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამ უკანასკნელ ხანს, საბჭოთა მთავრობასა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობას შორის ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ინიციატივით ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას ამის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებულიყო შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარების შესვლის შემთხვევისათვის.

ამ მოლაპარაკების შედეგად ორივე მთავრობა შეთანხმდა იმის შესახებ, რომ დაიდოს აღნიშნული შეთანხმება, რომლის პროექტი წარმოდგენილი იყო ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ და საბჭოთა მხრიდან მოწონებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ.

ამ შეთანხმების ტექსტი შემდეგია:

შეთანხმება

საბჭოთა მთავარსარდლისა და ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა, რომლებსაც სურთ, რომ საბჭოთა მთავარსარდლისა და ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრაციის ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეივლენ, გადაჭრილ იქნას მეგობრობისა და ორივე ქვეყანას შორის არსებული კავშირის სულისკვეთებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საომარი ოპერაციების შედეგად ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარების შესვლის შემდეგ უმაღლესი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ყველა იმ საქმეში, რაც ომის წარმოებას შეეხება, საომარი ოპერაციების ზონაში ამ ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დროის განმავლობაში საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარების მთავარსარდლის ხელში იქნება.

2. განთავისუფლებული ტერიტორიისათვის დაინიშნება ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებული, რომლის მოვალეობაც იქნება:

ა) მტრისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე შეჰქმნას ადმინისტრაცია და უხელმძღვანელოს მას, თანახმად ჩეხოსლოვაკიის კანონებისა;

ბ) აღადგინოს ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ძალები;

გ) უზრუნველყოს ჩეხოსლოვაკიის ადმინისტრაციის აქტიური ხელშეწყობა საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლისათვის, სახელდობრ: ძალოვის ადგილობრივ ხელისუფლებასთანაღო მეთითებანი, საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლის საჭიროებებისა და სურვილის მიხედვით.

3. ჩეხოსლოვაკიათა ის საშხედრო ნაწილები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა (მოკავშირეთა) არმიების შესვლის მომენტში ამ არმიების შემადგენლობაში იმყოფებიან, დაუყოვნებლივ გამოიყენებიან ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

4. საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდალსა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებულს შორის კავშირის უზრუნველსაყოფად საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდალთან დაინიშნება ჩეხოსლოვაკიის საშხედრო მისია.

5. საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლის უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ მყოფ ზონებში ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ორგანოებს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდალთან კავშირი ექნებათ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებულის მეშვეობით.

6. როგორც კი განთავისუფლებული ტერიტორიის რომელიმე ნაწილი უშუალო საომარი ოპერაციების ზონა აღარ იქნება, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა საკუთარი აიღებს თავის ხელში საზოგადოებრივი საქმეების გამგებლობას და თავისი სამოქალაქო და სამხედრო ორგანოების მეშვეობით ყოველმხრივ შეუწყობს ხელს და დაეხმარება საბჭოთა (მოკავშირეთა) ძალთა მთავარსარდალს.

7. ყველა ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარებს ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, დაემორჩილებიან საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლის იურისდიქციას. ყველა ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან ჩეხოსლოვაკთა სამხედრო ძალებს, დაემორჩილებიან ჩეხოსლოვაკიის იურისდიქციას. ამ იურისდიქციის დაემორჩილება აგრეთვე საოკუპაციო მოსახლეობაც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს შეეხება საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, გარდა საომარი ოპერაციების ზონაში ჩადენილი დანაშაულისა, რომელიც ექვემდებარება საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლის იურისდიქციას. სადავო შემთხვევებში საკითხი დადასწყდება საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდლისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებულის ურთიერთშეთანხმებით.

8. საფინანსო საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხება საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარების შესვლას ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, მიღწეული იქნება განსაკუთრებული შეთანხმება.

9. ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ჩეხოსლოვაკურ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

როგორც ტექსტიდან სჩანს, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ეს ახალი შეთანხმება სავსებით შეესაბამება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია 1943 წლის 12 დეკემბერს. ეს შეთანხმება ემყარება იმ პრინციპების ზუსტად დაცვას, რაც ამოცხადებულია ხსენებული ხელშეკრულებით, რომლის მე-4 მუხლში, როგორც ცნობილია, ნათქვამია, რომ „ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები, ითვალისწინებენ რა ყოველივე მათგანის უშიშროების ინტერესებს, თანხმდებიან მჭიდროდ და მეგობრულად ითანამშრომლონ მშვიდობიანობის აღდგენის შემდეგ პერიოდში და იმოქმედონ მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემის, აგრეთვე მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად...“

საბჭოთა კავშირის არასოდეს არ უუცნია 1938 წელს მიუნხენში მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებშაც ლახვარი ჩასცეს ჩეხოსლოვაკიის სუვერენულ უფლებებს და დაირღვიეს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ 1938 წლის 2 და 4 ოქტომბერს განაცხადა, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მიუნხენის კონფერენციასთან და მის გადაწყვეტილებებთან. როდესაც ჰიტლერმა და მისმა ხელქვეითებმა 1939 წლის მარტში ჩეხოსლოვაკია თავიანთ „საარსებო სივრცედ“, „ბომბემისა და მორავიის პროტექტორატად“ გამოაცხადეს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა ჩეხთა ოლქად აქციეს და თვი გერმანელ ფაშისტ ჯარისკაცთა ბრბოებით ავსეს, საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა ეცნო ეს ყაჩაღური აქტი. საბჭოთა მთავრობამ თავის 1939 წლის 18 მარტის ნოტაში განაცხადა, რომ გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში ჩეხთისა და სლოვაკიის ჩარიცხვა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანობის საერთოდ აღიარებულ ნორმებს ან ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპს. საბჭოთა მთავრობამ ამხილა ყაჩაღური აქტები ჰიტლერელ დამპყრობთა ხროვისა და მისი ხელშემწყობებისა — გახა-ხვალკოვსკისა, რომლებმაც 1939 წლის 15 მარტს ხელი მოაწერეს ბერლინის შეთანხმებას ჰიტლერთან და ჩეხოსლოვაკია ხელში ჩაუგდეს მის ჯალათებს.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახალი შეთანხმება, რომელიც ემყარება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემის პრინციპს, ბირველ მუხლში საბჭოთა (მოკავშირეთა) ჯარების მთავარსარდალს ანიჭებს ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მხოლოდ საომარი ოპერაციების ზონის ფარგლებში და მხოლოდ იმ საქმეებში, რომლებიც ომის წარმოებას ეხება.

ამის შესაბამისად შეთანხმების მე-6 მუხლში ცალკეა გათვალისწინებული, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა საჭიროებთ განახორციელებს თავის უმაღლეს ძალაუფლებას, — ანუ, როგორც ნათქვამია შეთანხმების ტექსტში — „სავსებით იღებს თავის ხელში საზოგადოებრივი საქმეების გამგებლობას“, ამასთან ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მთავარსარდალს თავისი სამოქალაქო და სამხედრო ორგანოების მეშვეობით.

შეთანხმების მეორე მუხლი ითვალისწინებს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებული ტერიტორიისათვის ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებულის დანიშვნას ამ მუხლში აღნიშნული რწმუნებებით, რომელიც ამოქმედებს ჩეხოსლოვაკიის კანონების თანახმად.

საბჭოთა (მოკავშირეთა) მთავარსარდალთან, თანახმად შეთანხმების მე-4 და მე-5 მუხლებისა, დაინიშნება ჩეხოსლოვაკიის სამხედრო მისია, რომელიც უზრუნველყოფს მთავარსარდლის კავშირს როგორც ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რწმუნებულთან, ისე ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ყველა ორგანოსთან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე.

შეთანხმების მეშვიდე მუხლი მიძღვნილია ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ყოფნის დროს საბჭოთა მთავარსარდლისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის იურისდიქციის საკითხისადმი. საბჭოთა მთავარსარდლის იურისდიქცია არ ვრ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 მაისის ოპერაციული ცნობიდან

1 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

30 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 24 ტანკი, საბერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 43 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ბრესტის სარკინიგზო კვანძზე

30 აპრილს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია მასირებულად დაესხა თავს ბრესტის სარკინიგზო კვანძს. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძზე ხანძრის 17 კერა გაჩნდა, მათ შორის 4 ხანძარი განსაკუთრებით დიდი იყო. იწვოდა მოწინააღმდეგის ეშელონები ჯარებიანად, საომარ მასალებიანად და საბრძოლო ტექნიკიანად. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი.

ერთი ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე არ დაბრუნებულა.

2 მაისის ოპერაციული ცნობიდან

2 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

1 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 20 ტანკი, საბერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 36 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ლვოვის სარკინიგზო კვანძზე

1 მაისს ღამით შორი მოქმედების ავიაცია მასირებულად დაესხა თავს ლვოვის სარკინიგზო კვანძს და დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი სამხედრო ეშელონები. დაბომბვის შედეგად სარკინიგზო კვანძზე ხანძრების 30-მდე კერა გაჩნდა, მათ შორის 7 განსაკუთრებით დიდი იყო. ხანძრების კვამლი 2.000 მეტრ სიმაღლეს აღწევდა. იწვოდა სულ მცირე 6 სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად, საომარ მასალებიანად და მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები. ხანძართა შორის შეჯახებულია დიდი ძალის 12 აფეთქება.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

3 მაისის ოპერაციული ცნობა

3 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

2 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი. საბერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 33 თვითმფრინავი.

❖ ❖ ❖

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა ლვოვისა და სამბორის რკინიგზის კვანძები

2 მაისს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ დაბომბა გერმანელთა თავმოყრილი სამხედრო ეშელონები ლვოვისა და სამბორის რკინიგზის კვანძებზე.

ლვოვის რკინიგზის კვანძზე დაბომბვით შექმნილია ხანძრის 20-მდე კერა, მათ შორის 5 განსაკუთრებით დიდი მასშტაბისა. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი. უდიდესი ძალის აფეთქება მოხდა რკინიგზის კვანძის ცენტრალურ ნაწილში.

დაბომბვის შედეგად სამბორის რკინიგზის კვანძზეც გაჩნდა დიდი ხანძრები. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები ლიანდაგებზე, აგრეთვე ის-ის იყო მოსული რკინიგზის ეშელონი. ეშელონის ხანძარს თან ახლდა აფეთქებანი მკაფიო ალით.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაარტყა მოწინააღმდეგის აეროდრომებს სტანისლავის, ლვოვის და რომანის რაიონებში

2 მაისს ჩვენი ავიაციის დიდმა შენაერთებმა მასირებულად დაარტყეს მოწინააღმდეგის აეროდრომებს სტანისლავის, ლვოვის, რომანის (რუმინეთი) რაიონებში. თავდასხმის მიმენტში ამ აეროდრომებზე გერმანელთა ბევრი თვითმფრინავი იმყოფებოდა. ბომბ-საიერშო დარტყმების შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 90-ზე მეტი თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 შენაერთის მებრძოლებმა მოწინააღმდეგის იერშების მოგრეგებისას დასწვეს და დააზიანეს 8 ტანკი, 2 თვითმავალი ქვემეხი და გაელიტეს 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავებმა მტრის ზურგში შეაღწიეს და მის სანგრებში შეიჭრნენ. ხანმოკლე ხელჩართულ ბრძოლაში დახოცილია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი. მზვერავებმა ტყვეები წამოიყვანეს და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ქალაქ ტარასპოლის სამხრეთით მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა და ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები. საბჭოთა მებრძოლები გერმანელებს მარჯვე ცეცხლით შეხვდნენ და აიძულეს სასწრაფოდ უკან დაეხიათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი გვამი. 6 ნაწილის მეზენიტეებმა, რომლებიც მდინარე დნესტრზე გადასასვლელს იცავენ, სამი დღის განმავლობაში ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარები და ტექნიკა. საბრძოლო მოქმედების შედეგად ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს დიდძალი ტანკი და ავტომანქანა, ჩაახშეს 16 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი და აიფეთქეს საომარი მასალის რამდენიმე საწყობი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 24 თვითმფრინავი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქში მოქმედმა ოთხმა პარტიზანულმა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 14 ეშელონი. დამსგრეულია 180 ვაგონი და პლატფორმა ჯარებიანად და ტანკებით. ბარანოვიჩელ პარტიზანთა ჯგუფი უეცრად დაესხა თავს გერმანელთა გარნიზონს ერთ დასახლებულ პუნქტში. საბჭოთა პატრიოტებმა გაელიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. გერმანელებისათვის წარმომეული სურსათი პარტიზანებმა ადგილობრივ მცხოვრებთ დაურიგეს.

* * *

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებამ ახალი მძლავრი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია წითელი არმიისა და საშინაო ფლოტის ნაწილებში. ზურგისა და ფრონტის-პირა გარნიზონებში, აგრეთვე ფრონტის იმ უბნებზე, სადაც საომარი ვითარება ამის საშუალებას იძლეოდა, შესდგა წითელი არმიის მებრძოლთა და ოფიცერთა მასობრივი მიტინგები.

ლენინგრადის ფრონტზე 5 პოლკის მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მაიორმა ამხ. ფილიჩკინმა, რომელიც დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით და სუვოროვის მე-3 ხარისხის ორდენით. „წითელმა არმიამ,—განაცხადა ამხ. ფილიჩკინმა,—მძიმე დამარცხებანი მიაყენა გერმანელებს. საბჭოთა ჯარების დარტყმებით ირღვევა და ინგრევა ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკი. წითელი არმია და ჩვენი მოკავშირეების არმიები ერთობლივი ღონისძიებებით საბოლოოდ გაანადგურებენ ჰიტლერულ გერმანიას“. სხვა პოლკში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა რიგითმა ჯარისკაცმა ამხ. იუსუპოვმა. „მე ცხრა ძმა მყავს,—სთქვა ამხ. იუსუპოვმა,—და შვიდი მათგანი ფრონტებზე იბრძვის. ჩვენ ყველამ ერთად ბევრი გერმანელი დავხოცეთ. ფიცსა ვდებ ამხანაგ სტალინის წინაშე, რომ შემდეგშიც ულომბლად ვანადგურო ჰიტლერული სიბილწე“.

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტზე, გვარდიის 6 ნაწილის მიტინგზე დიდების მე-3 ხარისხის ორდენის კავალერმა, გვარდიის ეფრეიტორმა ამხ. გალიმომა განაცხადა: „ამხანაგმა სტალინმა ბრძანა ფაშისტ დაპყრობთაგან გაეწმინდოთ მთელი ჩვენი მიწა-წყალი და აღიადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები მთელ ხაზზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე. ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ მტერს არ მივცეთ სულის მოთქმის საშუალება, დაჭრილ ფაშისტ მხეცს არ მივცეთ საშუალება მოიშუშოს სისხლმდინარე ჭრილობები. ჩვენ განვდევნით ფაშისტ ქვეწარმავალთ ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან, მტერს შევაგდებთ მის საკუთარ ბუნაგში და იქ ჩვენი მოკავშირეების ჯარებთან ერთობლივი მოქმედებით ბოლოს მოვუღებთ მას“.

უკრაინის მე-4 ფრონტზე 5 გვარდიის ნაწილის მიტინგზე რიგითმა მეტყვიამფრქვევემ ბერიოზინმა განაცხადა: „წითელი არმიის წარმატებებში, რომელთა შესახებაც ლაპარაკობენ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებაში, ჩვენი წვლილიც არის. ჩვენ ვამაყობთ ამით, რომ წილად გვხვდა მონაწილეობა მიგვეღო მტრის თავდაცვის გარღვევაში პერეკოპის ყელზე. ჩვენი ფრონტის ჯარებმა გერმანელ-რუმინელთა ჯარებს ყირიმში მძიმე დამარცხება მიაყენეს. ამხანაგ სტალინის ბრძანება ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ მოგვიწოდებს. მაშ, ფიცი დავდოთ, მეგობარო გვარდიელებო, რომ არ შევბღალავთ ჩვენს სახელს, რომელიც დიდი რუსული მდინარე ვოლგიდან ჭალარა დნეპრამდე და აყვავებულ ყირიმამდე გავატარეთ. გულს ჩავისახოთ ამხანაგ სტალინის სახელი, წავიდეთ წინ და ბოლო მოვუღოთ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს“.

ციმბირის სამხედრო ოლქში 5 ნაწილის მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა უმცროსმა სერჟანტმა ამხ. ყუკოვმა. მან სთქვა: „მე მემანქანის შვილი ვარ. გერმანელებმა მოჰკლეს მამაჩემი. მინდა რაც შეიძლება მალე წვიდე ფრონტზე. სიტყვას ვიძლევი, ულმობლად ვიძიო შური ფაშისტ არამზადებზე მათი ბოროტმოქმედებებისათვის. ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენთვის უმაღლესი კანონია და მას ღირსეულად შევასრულებთ“.

უცხოეთის ქრონიკა

26 და 27 აპრილს ინგლისის ავიაცია თავს დაესხა იაპონელთა გემებს ბირმის სანაპიროსთან. მოსობილია იაპონელთა 34 სამდინარო გემი და ბევრი კარუბანი.

ბუდაპეშტში თავს დაესხნენ უნგრეთის იუსტიციის მინისტრ იშტვან ანტალს. უკანასკნელი მძიმედ არის დაჭრილი რევოლვრის ტყვიით. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებას საქართველოს მშრომელები ახალი პატრიოტული აღმავლობით უპასუხებენ

მოახლოებულია მტერზე საბოლოო გამარჯვების ქამი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ დიდი ბელადის საპირველმაისო ბრძანებას.

1 მაისს დილით ქარხნის საამწყობო საამქროში შესვენებისას გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა ამხ. ივ. დეკანოზიშვილმა. მიტინგზე უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ბრძანების ტექსტი წაიკითხა ამხ. ი. რუხაძემ.

მექანიკოსი ბრიგადის წარმომადგენელმა, მაღალნაყოფიერი შრომის ოსტატმა ამხ. შ. ციტაიშვილმა ყველა დამსწრის სულისკვეთება გამოხატა, როცა სთქვა:

— დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ისტორიული საპირველმაისო ბრძანება კიდევ უფრო განგვიმტკიცებს რწმენას, რომ მოახლოებულია სანატრელი ქამი მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა. მაშ, ამხანაგებო, კიდევ უფრო მეფდრად ვიმუშაოთ, გავაძლიეროთ წითელი არმიისადმი დახმარება მტრის სრული განადგურებისათვის.

ასეთივე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ მიტინგზე წარმოების მოწინავე ადამიანები — ამხ. ი. ჯანიაშვილი, ზ. ზუბიევი და ჩერკოროვი. მათ განაცხადეს, რომ დიდი ბელადის საპირველმაისო ბრძანების პასუხად კისრულობენ მომავალში კიდევ უფრო გაძლიერონ მუშაობის ტემპები, კვლავ უხვად მოამარაგონ წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტრის საბოლოო განადგურების დასაჩქარებლად.

3 მაისს ბელადის საპირველმაისო ბრძანებისადმი მიძღვნილი მიტინგები მოეწყო ქარხნის ყველა საამქროში. საამქროთა კოლექტივებმა ახალი საწარმოო ვალდებულებანი აიღეს — უზრუნველჰყონ მაისისა და მთლიანად მეორე კვარტალის საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე, გადაჭარბებით შესრულება.

ფაშისტურმა გერმანიამ ომი წააგო

3 მაისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ისტორიული საპირველმაისო ბრძანებისადმი.

— ჩვენი უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებული ხვდება უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებას, — განაცხადა აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა. ბელადის ბრძანება გვავალებს დავძაბოთ მთელი ძალები, დირსეულად ვიდგეთ ჩვენს პოსტზე, ვიმუშაოთ მარჯვედ, პატიოსნად, მოვაახლოვოთ მტრის სრული განადგურების ჟამი.

— ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა პირველ მაისს უმაღლესი მხედართმთავრის ბრძანების თანახმად ჩვენს ქალაქშიც გაისმა სალუტის მუქარე ხმა წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებებისა და ზურგში საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომითი მამაცობის აღსანიშნავად, — სთქვა დოცენტმა ხუხიამ. — ბელადის ბრძანების პასუხად ჩვენ გაათკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ საომარ ნაწილებსა და ფრონტის დასახმარებლად, რომ ამოთ კვლავ შევიტანოთ წვლილი საბოლოო გამარჯვების დიად საქმეში.

აკადემიკოსმა ა. შანიძემ ილაპარაკა ბრძენულ სტალინურ ტაქტიკასა და სტრატეგიაზე, და განაცხადა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ ომი წაგო, ახლა გვმართებს მტერი — გერმანელი დაჭრილი მხეცი მის ბუნაგში გავანადგუროთ.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი ბელადის ბრძანების საპასუხოდ გაორკეცებული ენერგიით იბრძოლებს მეცნიერების გამდიდრებისათვის, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მისაღწევად და ყველაფერს გააკეთებს, რათა დაჩქაროს მტერზე საბოლოო გამარჯვება.

სტალინური სტრატეგიის გამარჯვება

— გერმანელთა ურდოების განადგურებით, — სთქვა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე ინჟინერმა ამხ. თ. ჯაფარიძემ, — გმირი წითელი არმია დიდი სტალინის უმაღლესი მთავარსარდლობით ასრულებს ისტორიულ მისიას — გათავისუფლოს ფაშისტებისაგან საბჭოთა მიწა-წყალი და მოკავშირეთა არმიებთან ერთად — ევროპის ყველა ხალხი, რომლებიც დამონებული არიან ჰიტლერული ტირანიის მიერ.

— ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს,— განაცხადა ნ საამქროს ხუთასოვანმა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ე. ხიხანაშვილმა, — ჩვენ ყველამ ერთად ბევრი ვიმუშავეთ, ბევრ ლითონს ვამზადებდით ბრძოლის ველზე. ახლა ეს ლითონი ფაშისტ ურჩ ძაღლებს ჩაეფლეთ ყელში. ჩვენ ეს ლითონი ბოლოამდე ამოვწურავთ ფაშისტ ურჩ ძაღლებისაგან ჩვენი ბელადის, ჩვენი ოქროს ბელადის, ჩვენი ბედნიერების, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ბედის, ჩვენი ბედნიერების, ჩვენი ბედნიერების, ჩვენ ეს ლითონი ბოლამდე ამოვწურავთ ფაშისტ ურჩ ძაღლებისაგან